



მოგესალმებით,

ეროვნული ბანკი ყოველკვარტლურად აქვეყნებს მონეტარული პოლიტიკის ანგარიშს, სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი ინფლაციის და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მონეტარული პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

მოგეხსენებათ, რომ ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანა ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაა, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკისა და დასაქმების გრძელვადიანი ზრდის აუცილებელი წინაპირობაა.

2018 წლის დასაწყისში ინფლაციის მაჩვენებელი შემცირდა და, პროგნოზების შესაბამისად, წლის პირველ ნახევარში მიზნობრივი დონის - 3 პროცენტის - ფარგლებში ნარჩუნდება. ივნისში წლიურმა ინფლაციამ 2.2 პროცენტი შეადგინა, რაც ახლოს არის მიზნობრივ მაჩვენებელთან. თქვენ ახლა ეკრანზე ხედავთ ინფლაციის დიაგრამას, რომლის მიხედვითაც, სხვა თანაბარ პირობებში, ინფლაცია წლის განმავლობაში მიზნობრივი მაჩვენებლის მახლობლად იმერყეებას.

წლის პირველ ნახევარში ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების ფონზე, ერთობლივი მოთხოვნა წინა პროგნოზთან შედარებით უფრო სწრაფი ტემპებით უახლოვდება პოტენციურ დონეს. შესაბამისად, შერბილდა ერთობლივი მოთხოვნიდან მომდინარე ინფლაციის შემცირების წნეხი, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის მოსალოდნელზე სწრაფი გამყარების შედეგად, ინფლაციური ზეწოლა შემცირებულია. ასევე შესუსტებულია ინფლაციის პროგნოზზე ზრდის მიმართულებით მოქმედი რისკები. შესაბამისად, 25 ივლისს მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა ზომიერად გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკიდან ეტაპობრივად გამოსვლის დაწყებისა და საპროცენტო განაკვეთის 0.25 პ.პ-ით, 7.0%-მდე შემცირების გადაწყვეტილება მიიღო.

აღსანიშნავია, რომ მოთხოვნის გაუმჯობესების ფონზე, როგორც ამას მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის პროგნოზის გრაფიკი აჩვენებს, მონეტარული პოლიტიკის შერბილება უფრო ნელი ტემპით გაგრძელდება, ვიდრე ეს წინა პროგნოზით იყო ნაგარაუდები. დავამატებ, რომ პოლიტიკის განაკვეთის დიაგრამაზე წარმოდგენილი პროგნოზი არ წარმოადგენს ეროვნული ბანკის დანაპირებს მონეტარული პოლიტიკის შემდგომ გადაწყვეტილებებზე. ის ასახავს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის საორიენტაციო ტრაექტორიას დღეისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციისა და პროგნოზების საფუძველზე.

შეგხედოთ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის დიაგრამას: 2018 წლის პირველ ნახევარში გამოვლენილი დადებითი ტენდენციების გათვალისწინებით, ეროვნულმა ბანკმა მიმდინარე წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 4.8 პროცენტიდან 5.5 პროცენტამდე გაზარდა.



წინასწარი მონაცემებით, 2018 წლის პირველ ხუთ თვეში რეალურმა ზრდამ 6.1 პროცენტი შეადგინა, რაც პროგნოზირებულზე მაღალია, ძირითადად, მოსალოდნელზე ძლიერი საგარეო მოთხოვნის ფონზე. ფულადი გზავნილებისა და სესხების ზრდა ხელს უწყობს შიდა მოთხოვნის გაუმჯობესებასაც.

ასევე მინდა შეგახსენოთ, რომ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი არის 3 პროცენტი საშუალოვადიან პერიოდში 2018 წლიდან. საშუალოვადიან პერიოდზე ხაზგასმას აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან შოკები მუდმივად ხდება და ინფლაციაც მიზნობრივი დონისგან განსხვავებული იქნება: ის შესაძლოა მიზნობრივ მაჩვენებელზე შედარებით მაღალი ან ზოგჯერ მიზნობრივზე უფრო დაბალ ნიშნულზე იყოს, თუმცა, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, საშუალოვადიან პერიოდში ის ყოველთვის მიზნობრივი მაჩვენებელისაკენ იმოდრავებს. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმში ფასების სტაბილურობა ყველაზე დაბალი საზოგადოებრივი დანახარჯებით მიიღწევა, ხოლო გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა, სხვა ალტერნატიულ რეჟიმებთან შედარებით, ყველაზე მაღალი და მდგრადია.

ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი არ ნიშნავს ინფლაციის მაქსიმალურ მაჩვენებელს. რომ დავაზუსტო, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი არის 3 პროცენტი, ჩვენ არ ვგულისხმობთ ინფლაციას ნულიდან სამ პროცენტამდე, არამედ ვგულისხმობთ ინფლაციას 3 პროცენტთან ახლოს საშუალოვადიან პერიოდში.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს და პროგნოზებსა და შეფასებებს მონეტარული პოლიტიკის განახლებული ანგარიშით წარუდგენს დაინტერესებულ საზოგადოებას.

გმადლობთ ყურადღებისთვის!